ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2028067

ნომერი: AR1327234

თარიღი : 17.07.2015

გაცემის თარიღი : 24.07.2015

გაცნობის თარიღი : 24.07.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წინანდალი , N 12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილი ნარეკლიშვილი პ/ნ 20001018286
- თელავი ე.ახვლედიანის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1091156 (№1716030; 05.02.2015)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 7.02.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: არჩილი ნარეკლიშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს "მ-5", დირექტორი ბეჟან მესხი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01014001787

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 262.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 191.6
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 1302.8
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 848.8
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 88.8
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 216.1
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 149.1
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 5664.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 4723.2
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 940.8
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 29.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 24.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.9
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 190.2 კვ.მ კ 1 = 0.7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 1113.7 კვ.მ კ 2 = 4.3
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 51 კვ.მ კ 3 = 0.2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 1304178
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 2.06.2014

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1304178
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 2.06.2014

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:
1. შესაბამის ველში (.არსებობის შემთხვევაში კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი.) წარმოადგინეთ 02.06.2014 წლის №1304178 ბრძანების მე–4 პუნქტის თანახმად კ2 კოეფიციენტის გადამეტებისათვის (ქ. თბილისის მერის 16.12.13 წლის №2873 განკარგულება) მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქვითარი). ასევე წარმსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 23.10.2014 წლის # ბრძანებით განსაზღვრული კ2 (კ2=4,3) კოეფიციენტის მოსაკრებლის ანგარიშის განმარტებითი ბარათი და გადახდის გრაფიკი, დამოწმებული პასუხისმგებელი პირის მიერ.
2. წარმოადგინეთ არქიტექტურული პროექტის ავტორის შესაბამისი წესით დამოწმებული თანხმობა პროექტში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.
3.მოთხოვნის შინაარსი. -> .მოთხოვნის ტექსტი.: ვინაიდან კორექტირებით გათვალისწინებული სამუშაოები უკვე ნაწარმოებია ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57–ე დადგენილების 63–ე მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად ,,თუ წარმოებული

მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტაციაში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორ განო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე, დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ".

4.სატიტულო ინფორმაცია. -> .ელექტრონული ფოსტა.: შესაბამის ველში მიუთითეთ საპროექტო ორგანიზაცია და საიდენტიფიკაციო კოდი

5.დამკვეთის ინფორმაცია. -> .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მიუთითეთ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის რეკვიზიტები, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად. ორგანიზაციის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი მიუთითეთ შესაბამის ველში

6.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: ავტოსადგომების სართულებზე კიბის უჯრედების და ლიფტების შესასველელებთან აუცილებელია ცეცხლგამძლე ტამბურების მოწყობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად. ასევე უნდა იქნას დატანილი ავტომანქანის სადგომის რეალური რაოდენობა, მათი თავისუფლად გადაადგილების გათვალისწინებით. წარმოდგენილი სახით მიუღებელია ავტოსადგომების რაოდენობის გაზრდის მცდელობა, გათვალისწინებული უნდა იქნას მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ ერთეულზე. ავტოსადგომის ფართიდან გამიჯნული იქნას სადარბაზოში შესასვლელი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის განკუთვნილ პანდუსზე მიუთითეთ %, რომელი არ უნდა აღემატებოდეს 6%. ,,ც" ღერძზე ,,1" ღერძის მიმდებარედ, ,,2–1" მონაკვეთში ღიობით და ,,ც–ა" ფასადზე ,,1" ღერძზე აივნით დარღვეულია მიჯნის ზონა. ,,4–1" ფასადზე დარღვეულია დადგენილი სამშენებლო ნორმები. შესაბამის გეგმებზე დაიტანეთ ტროტუარის და კონსოლის გადაცდენის ზომები. ზემოხსენებული ხარვეზებიდან გამომდინარე საჭიროა დააკორექტიროთ პროექტი და შესაბამისობაში მოიყვანოთ დადგენილ სამშნებლო ნორმებთან მიმართებაში.

7.შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა. -> .სიმაღლის განმსაზღვრელი სქემის pdf ფაილი.: საჭიროა ატვირთოთ მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის განსაზღვრის სქემა შემდეგი შემადგენლობით: გენ-გეგმა, სიმაღლის განსაზღვრის ადგილის დატანით და ამ ადგილებში აგებული ჭრილები; ყველა ნახაზზე: ქუჩ(ებ)ის სრული სიგანის მითითებით; ჭრილზე ღერძულა ხაზისა და ფასადის მაქსიმალური დასაშვები სიმაღლის ნიშნულის განსაზღვრით (ფორმულა H=L/Y) და მათი შემაერთებელი სხივის ჩვენებით.

8.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართში ლიფტისა და სადარბაზოს ფართობი შევა სრულად. დააკორექტირეთ კოეფიციენტბის საანგარიშო კროკები

9.კორექტირებული პროექტის მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .სპეციალისტის სახელი და გვარი.: მითითებულია ხარვეზით

10.წარმომადგენელის არსებობის შემთხვევაში მინდობილობა/რწმუნებულება. -> .მინდობილობა/რწმუნებულების pdf ფაილი. : წარმოადგინეთ დამკვეთის მიერ გაცემული შესბამისი წესით დამოწმებული მინდობილობა განმცხადებლის სახელზე, ან დამკვეთი დაფიქსირდეს თანაანმცხადებლად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.